თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5910651

ნომერი: AR1893121

თარიღი : 13.04.2022

გაცემის თარიღი : 21.04.2022

გაცნობის თარიღი : 21.04.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, I კვარტალი, N UN2005689;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კუხალაშვილი პ/ნ 01030018544
- დ.აღმაშენებლის 75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 13 აპრილს №AR1893121 განცხადებით მომართა ზურაბ კუხალაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 06 აპრილის №5867856 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულების მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 06 აპრილის №5867856 გადაწყვეტილებით №01.12.04.001.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალპროფილიანი კლინიკის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 06 აპრილის №5867856 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: განმცხადებელი უთითებს, რომ ბრძანების ფუნქცია/დანიშნულების ველი არ არის ჩამოყალიბებული მოთხოვნილი ფუნქციების შესაბამისად და ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 04 თებერვალს №AR1876206 განცხადებით მრავალპროფილიანი კლინიკის მშენებლობის მიზნით მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და სამსახურის 2022 წლის 06 აპრილის №5867856 გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. ამასთან, აღნიშნულ ბრძანებაში საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულების ველში დაფიქსირდა მრავალპროფილიანი კლინიკა.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის 2022 წლის 06 აპრილის №5867856 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებულ იქნა ერთ შენობაზე. აქვე განგიმარტავთ, რომ მრავალპროფილიანი კლინიკის დაპროექტებასთან და საპროექტო ობიექტში ფართების გადანაწილებასთან დაკავშირებით, სამსახური იმსჯელებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით №01.12.04.001.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სპეციალური ზონა-1-ში (სპეცზ–1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით სპეციალურ ზონა-1-ში (სპეცზ–1) დასაშვებია სამედიცინო კომპლექსების მშენებლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 06 აპრილის №5867856 გადაწყვეტილებაში სწორად არის მითითებული საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 06 აპრილის №5867856 გადაწყვეტილებაში.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.